სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 21 0001160268

29/10/2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისი №42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის MES 8 21 0001100837 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, 2021 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 03 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).
3. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსს ედიშერ კვესიტაძეს.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1(ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორი
გურგენიძე დავით